ხელშეკრულება 38

ინსპექტირების მომსახურების გაწევის შესახებ

ქ. ქუთაისი 06.05/2022წ.

ერთი მხრივ შპს ვირაჟი ს.კ 412733742 წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი დირექტორის თენგიზ გრიგალაშვილის მიერ (შემდგომში ***„შემსრულებელი“***) და მეორე მხრივ ა(ა) იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება “ ს/კ 221281636 წარმოდგენილი მისი მმართველის გიორგი იობიძის მიერ (შემდგომში ***„დამკვეთი“***) თითოეული წოდებული როგორც „მხარე“, ხოლო ერთად „მხარეები“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებელი ვალდებულია გასწიოს დამკვეთის ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება ფორმა 2-ის შესაბამისად და მოამზადოს ინპექტირების ანგარიში (ექსპერტიზა) დამკვეთის მიერ მიწოდებული მასალების და შესრულებული სამუშაოების ადგილზე შესწავლის საფუძველზე, ხოლო დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებაში მითითებული ოდენობით;

1.2 წინამდებარე ხელშეკრულებით უნდა განხორციელდეს შემდეგი ობიექტის ინსპექტირება: ჩვენ გაერთიანებაში შემავალი 23 ს/ბ , (ბაღების მისამართები მიმაგრებულია დანართის სახით) ატრაქციონებისათვის მოედნების მოსაწყობი სამუშაოების უკვე შესრულებული სამუშაოების და აწი შესარულებელი შამუშაოების ინსპექტირება.

1.3 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას სამუშაო დაიწყოს სამუშაოს ჩასატარებლად საჭირო ყველა მასალის გადაცემის და ობიექტზე დაშვების შემდეგომ და დაასრულოს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. სამუშაოების დასრულების შემდგომ მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

მუხლი 2. მომსახურების ღირებულება. ანაზღაურების წესი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება შეადგენს 1545 (ათასხუთასორმოცდახუთ) ლარს, სახელმწიფო გადასახადების ჩათვლით;

2.2 დამკვეთი ვალდებულია მომსახურების ღირებულება გადაიხადოს სამუშაოების შესრულებამდე ან შესაბამისი ინსპექტირების ანგარიშის მიღებამდე. ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორების წესით (სააბანკო რეკვიზიტები მითითებულია ხელშეკრულების ბოლო გვერდზე);

2.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე მხარეებს შორის ფორმდება შესაბამისი შედარების აქტი დამკვეთის მიერ შემსრულებლისადმი ვალის აღიარების შესახებ.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის, დამკვეთი კომპანიის მმართველი გიორიგ იობიძე) (შემდგომში ***„თავდები“***) იღებს სოლიდარულ თავდებობას დამკვეთის მიერ ხელშეკრულების 2.1 პუნქტში მითითებული მომსახურების ღირებულების გადახდის ვალდებულების შესრულების მიმართ. შემსრულებელი უფლებამოსილია სოლიდარულად მოითხოვოს სამუშაოების ანაზღაურების ვალდებულების შესრულება როგორც დამკვეთის, ისე თავდების მიერ.

2.4 სოლიდარული თავდებობის შესახებ განცხადება ძალაშია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადით; თავდების პასუხისმგებლობა ვრცელდება როგორც 2.1 პუნქტში დაფიქსირებული მომსახურების ღირებულებაზე, ასევე ნებისმიერ ჯარიმასა თუ პირგასამტეხლოზე, რაც გამომდინარეობს დამკვეთის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, მათ შორის სასამართლო ხარჯებიც.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

3.1 შემსრულებელი ვალდებულია:

3.1.1 ხარიხსიანად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება;

3.1.2 გადასცეს დამკვეთს ინსპექტირების ანგარიში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და მომსახურების ღირებულების გადახდის შემდგომ;

3.1.3 მოსთხოვოს დამკვეთს ინსპექტირების განსახორციელებლად საჭირო მასალები, ხოლო სამუშაოების ჩატარების ნებისმიერ ეტაპზე დამატებითი აუცილებლობის შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი მასალები ან/და ობიექტზე შეუფერხებელი დაშვება;

3.1.4 აცნობოს დამკვეთს სამუშაოების შესრულების ეტაპზე რაიმე დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის შესახებ, რაც ხელს უშლის ან სამომავლოდ ხელს შეუშლის სამუშაოების ჩატარებას;

3.1.5 მიაწოდოს დამკვეთს ყველა საჭირო მოთხოვნილი ინფორმაცია შესასრულებელი ან შესრულებული სამუშაოს შესახებ;

3.1.6 მომსახურება გასწიოს საკუთარი ტექნიკით, ინვენტარით და ადამიანური რესურსით;

3.1.7 პირადად აგოს პასუხი მომსახურების გაწევს პროცესში, მისი მხრიდან ჩართულ მესამე პირთა მიერ, დამკვეთისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში;

3.1.8 საჭიროების შემთხვევაში დამკვეთის წინაშე და ასევე ნებისმიერ ინსტანციაში პასუხისმგებლობა იკისროს მის მიერ შესრულებული სამუშაოებზე;

3.2 შემსრულებელი უფლებამოსილია

3.2.1 მოითხოვოს დამკვეთისაგან ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

3.2.2 სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალების მიუწოდებლობის შემთხვევაში უარი განაცხადოს სამუშაოს შესრულებაზე და დაუბრუნოს დამკვეთს მასალები შეტყობინებიდან არაუგვანეს 3 კალენდარულ დღეში;

3.2.3 შეაჩეროს სამუსაოების შესრულება ყოველგვარი პასუხისმგბელობის დაკისრების გარეშე, თუ სამუშაოების შესრულება შეუძლებელია დამკვეთის მიზეზით;

3.3. დამკვეთი ვალდებულია:

3.3.1 დროულად მიაწოდოს შემსრულებელს სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები და დაუშვას ობიექტზე;

3.3.2 დროულად გადაიხადოს მომსახურების ღირებულება;

3.3.3 არ განახორციელოს ქმედება, რაც ხელს შეუშლის წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას;

3.3.4 გააფრთხილოს შემსრულებელი მისთვის ცნობილი იმ გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება, შეაფერხოს მომსახურების გაწევა;

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ხელშეკრულების შეწყვეტა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

4.2 ხელშეკრულების ხელმოწერის დღედ ითვლება ამ ხელშეკრულების ზედა მარჯვენა კუთხეში მითითებული თარიღი.

4.3 <u>ხელშეკრულების დაუყოვნებლივ ცალმხრივად შეწყვეტის უფლება მხარეს წარმოეშობა თუ:</u>

4.3.1 მხარე თავს არიდებს წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას და მიუხედავად გაფრთხილებისა აგრძელებს ვალდებულებისგან თავის არიდებას;

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისიწინებული წესით. ხელშეკრულების დამრღვევმა მხარემ უნდა აუნაზღაუროს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი;

5.2 თუ დამკვეთი უარს განაცხადებს „შემსრულებლის“ მიერ ჩატარებულ სამუშაოს გაგრძელებაზე ან მომზადებული ინსპექტირების ანგარიშის ჩაბარებაზე, იგი არ თავისუფლდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს საფასურის გადახდისაგან.

5.3 დამკვეთი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს შემსრულებელს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადის დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღისათვის.

5.4 შემსრულებელი პასუხიმგებელია გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით დამკვეთს მომსახურეობის გაწევის ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში გასაწევი მომსახურეობის ღირებულების 0,2% ყოველ ვადაგადაცილებული დღისათვის.

5.5 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან, თუ მათი მხრიდან ვალდებულების დარღვევა გამოწვეული არის დაუძლეველი ძალის მოქმედებით (ფორს-მაჟორი) ან ისეთი გარემოებით, რომლის გათვალისწინება და აღკვეთა მხარეების ძალებს აღემატებოდა:

5.5.1 ხელშეკრულების მიზნებისთვის პასუხისმგებლობისგან გამათავისუფლებელ გარემოებებად ჩაითვლება, სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, სამხედრო მოქმედებები, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა, და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია;

5.5.2 ხელშეკრულებების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფროსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

მუხლი 6.შეთანხმება დავის გადაწყვეტის წესის და განსჯადობის შესახებ

6.1 ნებისმიერი დავა, რაც წარმოიშვება ამ ხელშეკრულებიდან ან ამ ხელშეკრულებასთან კავშირში, მათ შორის ნებისმიერი კითხვა მისი არსებობის, კანონიერების, განმარტების, ხელშეკრულების დარღვევის ან შეწყვეტის შესახებ უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით;

6.2 ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ანდა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობასა და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „დავების განმხილველ ცენტრს“საარბიტრაჟო განხილვის ადგილია (საქართველო, თბილისი) (DRC-ს, რომლის სარეგისტრაციო კოდია 204547348; იურიდიული მისამართი ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას 71, 2 სართული, ოფისი 11. ვებ.გვერდი: WWW.DRC.GE. ზემო აღნიშნული არბიტრაჟის მიერ დავა განიხილება საქართველოს

კანონმდებლობის და საარბიტრაჟო დებულების შესაბამისად, დავის განხილვა უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 7.დასკვნითი დებულებები

7.1 მხარეები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ ხელშეკრულება არ შეიცავს ბუნდოვან დებულებებს და მათ მიიღეს აღნიშნული პირობები;

7.2 საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებით, წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7.3 მხარეთა შორის კომუნიკაცია მოხდება ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე კორესპონდენციის გაგზავნით, ელექტრონული ფოსტის, ან ნებისმიერი ისეთი საშუალების გამოყენებით, რაც იძლევა ადრესატის მიერ გზავნილის მიღების დადასტურების შესაძლებლობას;

7.4 მხარეები ვალდებულნი არიან, დაუყოვნებლივ შეატყობინონ ერთმანეთს ხელშეკრულებაში დაფიქსირებული რეკვიზიტების შეცვლის თაობაზე;

7.5 მხარეები შეთანხმდნენ, რომ კეთილსინდისიერად დაიცავენ წინამდებარე ხელშეკრულებას და პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებებს;

7.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა მხარეებს;

<u>მუხლი 8 მხარეთა რეკვიზიტები</u>

დამკვეთი	შემსრულებელი
ა(ა) იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება	შპს ვირაჟი
ს.კ.: 221281636	ს.კ 412733742
იურიდიული მისამართი:ქ.წყალტუბო ვაჟა ფშაველას N1	იურიდიული მისამართი: ქუთაისი, მიქელაძე - მეველის ქ. ნ25
<u>საბანკო რეკვიზიტები</u> <u>ფინასთა სამინისტროს სახაზინო სამსახური</u>	საბანკო რეკვიზიტები ბანკი სს თიბისი ბანკი ა/ნ GE90Tb7896736080100005

ხელმოწერა:

Union Kindergartens in Tskaltubo's Municipality
Digitally signed by Union Kindergartens in Tskaltubo's Municipality
Date: 2022.05.06 17:24:50 +04'00'

(დამკვეთი)

Tengizi Grigalashvili
Digitally signed by Tengizi Grigalashvili
Date: 2022.05.10 10:46:31 +04'00'

_____თენგიზ გრიგალაშვილი

(შემსრულებელი)